ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 ნოემბრის

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამუსიკო სკოლის“- ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

   მომხს: ლალი ალექსიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

   მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 ნოემბრის მორიგი სხდომის

ოქმი N18

2024 წლის 04 ნოემბერი

დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, ინგა მაღრაძე სულ საკრებულოს 22 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ვლადიმერ გელაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სასმსახურის უფროსი

ლალი ალექსიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „სამუსიკო სკოლის“- ხელმძღვანელი .

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

მარიამ შარიქაძე საკრებულოს პერსონალურ მონაცემტა დაცვის ოფიცერი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ნ. კაპანაძე გაზეთი „ჩემი ხარაგაულის“ ჟურნალისტი

თ. ძაღრაძე ა (ა) ი, პ. ძოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

მ. ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კინაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „სამუსიკო სკოლის“- ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში**

მომხს: ლალი ალექსიძე

2. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში**

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

3. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ**

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი.

მომხრე 22

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „მუსიკალური სკოლის“- ხელმძღვანელის ლალი ალექსიძის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

მ. ხვედელიძემ საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, სკოლას აქტობები აქვს ჩატარებული და ამართლებს იმ დანიშნულებას რა ფუნქციაც მას აქვს დაკისრებული მოსწავლე ახალგაზრდომის მუსიკალური განვიტარების კუთხით, მადლობის მეტი რა გვეთქმის, კომისმათ საქმიანობას აფასებს დადებითად.

ი. მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრმა აღნიშნა, რომ სკოლა კარგად ემსახურება იმ მიზანს რაც აქვს დასახული, თუმცა დიდი განსხვავებაა ცენტრსა და პერიფერიებს შორის, ვისურვებდი სოფლებთან მეტი კავშირები ჰქონდეს და

მათთვისაც ხელმისაწვდომი იყოს განათლების მიღება, რადგან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა სოფლებში.

ლ. ალექსიძემ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მასწავლებლები, რომლებიც გვყავს დასაქმებული იმდენად დატვირთულები არიან, რომ მათი გადანაწილება ვერ ხერხდება, სამწუხაროდ თაობათა ცვლილება არ ხდება, ახალგაზრდები არ მოდიან, ვისურვებდი მომავალში მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალოს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მარინე ხვედელიძის წინადადება „მუსიკალური სკოლის"- ხელმძღვანელის ლალი ალექსიძის მიერ გაწეული საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 21 წევრი.

მომხრე 20

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, კომისია თანამშრომლობს აღნიშნულ სამსახურთან იცნობს მათ საქმიანობას და წარმოდგენილი ანგარიშიდანაც ჩანს სამსახურის აქტიური საქმიანობა. ჩვენ ვაფასებთ დადებითად,

ბ. კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთ კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამსახურის ანგარიში განიხილა კომისიის სხდომაზე, და საქმიანობას აფასებს დადებითად.

ი. მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის" კითხვით მიმართა მომხსენებელს, დაესახელებია ინიციატივები, რომელიც სამსახურმა შესთავაზა მოსახლეობას და რა სარგებელი მიიღო ამით სოფელმა ამ ინიციატივით ასევე სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კონტროლი რა ფორმით ხდება.

ი. ლურსმანაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კონტროლი არ შედის ჩვენი სამსახურის ფუნქციაში

მან ასევე კითხვით მიმართა მერის პირველ მოადგილეს **ვ. ჭიპაშვილს** ანგარიშში ნახსენებია სახელმწიფო პროგრამით დასაქმებულ პირებზე კონტროლი, რამდენი პირია დასაქმებული, და რა საქმიანობას ეწევიან,

ვ. ჭიპაშვილმა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ თქვენი გამოსვლა ზოგადად იმდენად ზოგადია, რომ პასუხებს არ იმსახურებს მაგრამ ვიმყოფები, რა პოლიტიკურ ორგანოში გიპასუხებ, რომ დასაქმდა მოსახლეობა, კონკრეტულ ორგანიზაციაში გაფორმდა ხელშეკრულებები დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის,

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას აკონტროლებს ხელმძღვანელი, შემოგვთავაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიისა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეების პავლე კიკალიშვილისა და ბესიკი კვირიკაშვილის წინადადება მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის მიერ გაწეული საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 21 წევრი.

მომხრე 20

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განვიხილეთ კომისიის სხდომაზე, სამსახურმა ყველა ფინანსური ოპერაცია შეასრულა კალენდარულ ვადებში, სამსახურს ჰყავს კვალიფიციური და კომპეტენტური კადრები, რაც დაადასტურა სამსახურის ჩართულობით ნახევარ მილიონამდე ოდენობის გრანტის მოგებამ, სამსახური მუშაობს თავდაუზოგავად და კომისია შემოდის წინადადებით შეფასდეს დადებითად.
ი. მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“აღნიშნა თუ ვინმეს ვიცნობ გამოცდილ და კომპეტენტურ პირს ეს ვლადიმერია, რეპლიკის სახით ერთ კითხვად დაგისვამთ, როდესაც წლის ბოლოს რჩება გაუხარჯავი თანხა ეს დადებითია თუ უარყოფითი,მე თავს შევიკავებ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებისაგან.
ვ. გელაშვილი დადებითია რა თქმა უნდა რადგან აქ წლის ბოლოს შემოსული თანხებია სხვადასხვა გადასახადების სახით, რომლის გახარჯვა ვეღარ ხერხდება წლის ბოლომდე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოსსაფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პავლე კიკალიშვილის წინადადება მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის მიერ გაწეული საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 21 წევრი.

მომხრე 20

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი,
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე